

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ,,

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 18, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის წევრი ვალდებულია „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი წესით შეავსოს და თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი ან/და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაცია.,,

2. 52-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კომიტეტის აპარატის უფროსსა და სპეციალისტებს კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით, „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს პარლამენტის აპარატის უფროსი.,,

3. 257-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული საკოორდინაციო ერთეულების სახით შედიან დეპარტამენტები, სამსახურები და კომიტეტების აპარატები, რომელთა შემადგენლობას, თანახმად დამტკიცებული საშტატო განრიგისა, შესაბამისი დეპარტამენტისა თუ სამსახურის უფროსის და კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით, „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს პარლამენტის აპარატის უფროსი.,,

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

